საქმე №2/13642-13
330216813320739

5016680488066

www.info.court.ge

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

საქართველოს სახელით
კრედიტორთა კრების მოწვევის შესახებ
(ამონაწერი სხდომის ოქმიდან)

01.04.2019 წ. **თბილისი**

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია
მოსამართლე - თამარ ბურჯანაძე

განმცხადებელი - შპს "მარშე" (ს/კ 245587011)
რეაბილიტაციის მმართველი - გიორგი გვალია

მოთხოვნა - კრედიტორთა კრების მოწვევის შესახებ

სასამართლომ ზეპირი მოსმენით განიხილა კრედიტორთა კრების გადადების საკითხი და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას 2013 წლის 23 სექტემბერს განცხადებით მიმართა შპს "მარშეს" წარმომადგენელმა ლაშა ნოდიამ და რეაბილიტაციის შესაძლებლობის გათვალისწინებით ითხოვა შპს "მარშეს" მიმართ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყება. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ განცხადება მიღებულ იქნა წარმოებაში.

2016 წლის 08 აპრილის კრედიტორთა კრებაზე შპს "მარშეს" კრედიტორთა კრების გადაწყვეტილების საფუძველზე შპს "მარშეს" რეაბილიტაციის მმართველად არჩეულ იქნა გიორგი გვალია.

2019 წლის 01 აპრილს, 17:00 საათზე გამართულ კრედიტორთა კრებაზე არ გამოცხადდა კრედიტორთა უმრავლესობა, შესაბამისად, კრება არ იყო გადაწყვეტილებაუნარიანი, რის გამოც, ,,გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ" საქართველოს კანონის 27-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლომ მიზანშეწონილად მიიჩნია კრედიტორთა კრების გადადება.

სასამართლომ იხელმძღვანელა ,,გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ" საქართველოს კანონის მე-7, მე-8, 27-ე 42-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-285-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა

1. კრედიტორთა კრება მოწვეული იქნეს **2019 წლის 19 აპრილს, 14:00 საათზე** თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე ქ. თბილისში, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6) **სხდომის დარბაზი №63** შემდეგი დღის წესრიგით:

- კრედიტორთა კრების კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხების განხილვა.

2. განჩინება გამოქვეყნდეს ,,საკანონმდებლო მაცნეში'', სასამართლოს დაფაზე და ვებგვერდზე **www.tcc.gov.ge.**

3. განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 5 (ხუთი) დღის ვადაში კერძო საჩივრით თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში.

მოსამართლე **თამარ ბურჯანაძე**

LEPL LEGISLATIVE HERALD OF GEORGIA

Digitally signed by LEPL LEGISLATIVE HERALD OF GEORGIA
DN: cn=LEPL LEGISLATIVE HERALD OF GEORGIA, 2.5.4.97=NTRGE-203862622, o=[illegible], c=GE
Date: 2019.04.05 17:38:22 +04'00'